”დინამო” - ”კარლ-ცაისის” მატჩის წინ

ჰანს მაიერის საზრუნავი
”ლელოს” ინტერვიუ

ახლა, როცა ევროპის საფეხბურთო სამყარო 13 მაისის მოლოდინშია, ყველაზე მეტი საზრუნავი მონაწილე გუნდების მწვრთნელებს აქვთ. მათ შორის 38 წლის იენელ მწვრთნელს ჰანს მაიერს და თბილისელ ნ. ახალკაცს. ჩვენმა გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ დინამოელთა მწვრთნელი ყოველთვის თავშეკავებული და სიტყვაძუნწია რაიმე პროგნოზებსა და აზრის გამოთქმაში. აი, მის მეტოქე კოლეგას კი, რომელიც ამ დღეებში თბილისში დაესწრო ”დინამოს” თამაშს ”დნეპრთან” არ დაუმალავს, რომ მომავალ მატჩთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

- ”კარლ ცაისის” ფეხბურთელებმა - თქვა ჰ. მაიერმა - დინამოელთა ევროპის თასების თასის ნახევარფინალური მატჩი როტერდამის ”ფეიენოორდთან” ტელევიზიით ნახეს და საუკეთესო ფეხბურთელად ერთსულოვნად აღიარეს დავით ყიფიანი. ისინი ბევრს ლაპარაკობდნენ მის ფილიგრანულ ჩაწოდებებზე, ფინტებსა და სახიფათო გასვლებზე, როცა იგი შესანიშნავად უმკლავდებოდა ორ-სამ, ხან კი ოთხ ჰოლანდიელს...

მწვრთნელმა დაუფარავად აღიარა ისიც, რომ თბილისიდან ტელერეპორტაჟმა ჩააფიქრა იგი. ”ისეთი გუნდის დამარცხება, როგორიც თბილისის ”დინამოა”, ძალზე ძნელია. საამისოდ მისმა გუნდმა პირველ რიგში დინამოელთაგან შემოთავაზებული მაღალი ტემპი უნდა დააგდოს. ამას გარდა უვნებელჰყოს ცალკეულ მოთამაშეთა მაღალი ოსტატობა. ამავე დროს საიმედოდ ჩაკეტოს საკუთარი კარის მისადგომები და შექმნას კონტრთამაში - აი, პრობლემათა მთელი წყება, რაც ახლა ჩვენს წინაშე დგას. - დასძინა ბოლოს მაიერმა.

- თბილისში ნანახმა მატჩმა თუ შეგიმსუბუქათ საზრუნავი?

ამ კითხვაზე მწვრთნელმა შემდეგი გვიპასუხა.

- მიუხედავად იმისა, რომ ”დინამოს” მთელი ძალით არ უთამაშია, ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ საქმე გვაქვს ძალზე ძლიერ მეტოქესთან. განსაკუთრებით მხიბლავს დინამოელთა იმპროვიზაცია, რასაც გუნდი კარგად ორგანიზებულ მაღალტექნიკურ თამაშს უმორჩილებს. მშურს თბილისელთა მწვრთნელისა, რომელმაც ასეთი ბრწყინვალე საფეხბურთო ანსამბლი შექმნა.

- რას იტყვით 13 მაისის მატჩზე?

- მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ძალზე დაძაბულ და უშეღავათო სპორტულ ბრძოლაში ჩაივლის.

ჭ. უნგიაძე.

”დოიჩეს შპორტეხოს” ფურცლებზე

ბერლინის გაზეთმა ”დოიჩეს შპორტეხომ” 6 მაისის ნომერში თითქმის მთელი გვერდი დაუთმო თბილისის ”დინამოს” ფეხბურთელებს, მათს მომავალ შეხვედრას ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალში იენის ”კარლ ცაისთან”.

გაზეთმა გამოაქვეყნა თავისი მოსკოველი კორესპონდენტის წერილი, სადაც სხვათა შორის, ნათქვამია: თბილისის "დინამო" ახლა ისევე, როგორ 40 და მეტი წლის წინათ სინონიმია ტექნიკური, ელეგანტური, ფანტაზიით აღსავსე შემტევი ფეხბურთისა. კორესპონდენტი ლაპარაკობს იმ ცვლილებებზე, რომლებიც "დინამოს" გუნდში მოხდა ბოლო ხანებში, მოვიდნენ ახალგაზრდა, სწრაფი მოთამაშეები, რომლებიც ტექნიკური მომზადების თვალსაზრისით არაფრით ჩამოუვარდებიან კოლექტივიდან წასულ ვეტერანებს. კორესპონდენტი აღნიშნავს გუნდის დირიჟორის დ. ყიფიანის ბრწყინვალე ფორმას, თუმცა იმასაც დაასკვნის, რომ მარტო ამ ფეხბურთელზე როდია დამოკიდებული კოლექტივის თამაში.

შემდეგ "დოიჩეს შპორტეხო" აქვეყნებს დინამოელთა "სადარბაზო ბარათებს". აი, ზოგიერთი ნაწყვეტი ამ "ბარათებიდან". გაბელიას შესახებ ნათქვამია, რომ იგი კარგად თამაშობს. კარის ხაზზე უარესად - წინ გამოსვლისას არაერთხელ აუღია 11-მეტრიანი. "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ჩივაძე "მეტისმეტად დინამიური სტოპერია, რომელიც დაუღალავად მიდის წინ". დარასელია "დიდი რადიუსის ფეხბურთელია, საუკეთესოდაა შეთმაშებული შენგელიასთან, აქვს შორეული სახიფათო დარტყმები". სულაქველიძეზე ნათქვამია, რომ "იგი ცხარე, შეუპოვარი მოთამაშეა, სამაგალითო მებრძოლი". კაკილაშვილი "დიდად ნიჭიერ ფეხბურთელად ითვლება, რომელსაც კიდევ სჭირდება მომწიფება". "გუცაევი ცეცხლს ანთებს მარჯვენა ფრთაზე. ორ მცველთან ბრძოლა მისთვის დიდი პრობლემა არ არის, მაგრამ მას, სამწუხაროდ, ხშირად აქვს ტრავმები. იგი ახლა ბრწყინვალე ფორმაშია". "ყიფიანის იდეები განსაზღვრავენ გუნდის მოქმედებას". მიმომხილველი აღნიშნავს მის უნაკლო ტექნიკას, ძლიერ დარტყმებს. იშვიათი სიზუსტით შესრულებულ გადაცემებს, "როდესაც ბურთი მეტოქის ზურგს უკან ეცემა. როგორც ჩამოვარდნილი ფოთოლი". შენგელია "მომცრო ტანის, სწრაფი თავდამსხმელია და მხოლოდ უკიდურესად ყურადღებიანი თამაშით შეიძლება მისი ნეიტრალიზება".

ვინ იქნება საუკეთესო?

"კომსომოლსკაია პრავდის" 5 მაისის ნომერში დაბეჭდილია ვ. კორენევის საინტერესო წერილი "უპირატესობა - ფორვარდებს".

ავტორი აღნიშნავს, რომ უკვე მეოთხედი საუკუნეა ფრანგულ ჟურნალ "ფრანს ფუტბოლის" ინიციატივით სპორტული ჟურნალისტები ყოველ წელიწადს განსაზღვრავენ ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, როგორც წესი, პრიზიორთა მთელი სამეული შედგება უეფა-ს ოფიციალური ტურნირების მონაწილეთაგან. 3 საუკეთესოს შორის ექვსჯერ დაასახელეს კონტინენტის ჩემპიონის მოთამაშეები და ორჯერ - ვერცხლის პრიზიორებისა. სამეულში 23-ჯერ შევიდნენ ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებული ფეხბურთელები და 7-ჯერ - ამ გათამაშების ფინალისტის წევრები. თასების მფლობელთა თასის გამარჯვებული ლაურეატი გახდა ორჯერ.

გვინდა რწმენა გამოვთქვათ, რომ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებს, რომლებიც 13 მაისს დიუსელდორფში თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში ხვდებიან გდრ-ის ქ. იენის "კარლ ცაისს", გაუჩნდათ შანსი მოხვდნენ "ფრანს ფუტბოლის" ლაურეატთა სამეულში.

ჯერჯერობით კი ეს პატივი ყველაზე უფრო ხშირად წილად ხვდათ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ინგლისისა და იტალიის ფეხბურთელებს. გამარჯვებულთა შორის იყვნენ საბჭოთა ფეხბურთელებიც - ლევ იაშინი და ოლეგ ბლოხინი.

საყურადღებოა, რომ უპირატესობა ჩვეულებრივ, ენიჭებათ ფორვარდებს. ისინი 52-ჯერ იყვნენ უძლიერესთა სამეულში. მცველებმა და ნახევარმცველებმა ამას მიაღწიეს 10-ჯერ, ხოლო მეკარეებმა - სულ 3-ჯერ.

დიუსელდორფში სათამაშოდ

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოდან გვაცნობეს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ დიუსელდორფს გაემგზავრნენ თბილისის "დინამოს" ფეხბურთელები, რომლებიც აქ 13 მაისს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალურ მატჩში შეხვდებიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქ. იენის "კარლ ცაისს".

თბილისის "დინამოს" შემადგენლობაში არიან: ო. გაბელია, თ. კოსტავა, ა. ჩივაძე, ნ. ხიზანიშვილი, გ. თავაძე, ვ. დარასელია, ზ. სვანაძე, თ. სულაქველიძე, ვ. გუცაევი, დ. ყიფიანი, რ. შენგელია, ნ. კაკილაშვილი, ვ. ჟვანია, გ. ჭილაია, ა. ანდღულაზე, კ. მჭედლიძე.

გუნდს ხელმძღვანელობენ ნ. ახალკაცი. კ. ასათიანი და ს. კუტივაძე.

მარადჟამს გუნდთან ერთად

თასების მფლობელთა თასზე თბილისის "დინამოსა" და როტერდამის "ფეიენოორდის" პირველი ნახევარფინალური მატჩის დღეს თბილისის "დინამოს" სტადიონის პრესლოჟაში სტუმრად ჩამოსული ჰოლანდიელი ჟურნალისტები ისხდნენ. ჩვენ, მასპინძლების კვალობაზე, რაც შეიძლებოდა შევვიწროვდით და შევეცადეთ ხეირიანი სამუშაო პირობები შეგვექმნა ჩამოსულთათვის.

შევვიწროვდითო - ადვილი სათქმელია. იქაური კორესპონდენტები უკომფორტოდ არ მუშაობენ: საბეჭდი მანქანების კაკუნისაგან ყურთასმენა არაა, მერე - თითოეულ მათგანს ცალკე ტელეფონის აპარატი უდგას, ხაზი წინასწარაა შეკვეთილი და რამდენიმე კომენტატორის ერთდროული ხმამაღალი ლაპარაკი გღლის, ყურს გჭრის, გინდა არ გინდა, გიფანტავს ყურადღებას.

ჩემს გვერდით აღმოჩნდა სიმპათიური ახალგაზრდა კაცი, რომელიც საკმაოდ გამართული რუსულით მეკითხებოდა აქაურ ამბებს, თბილისის "დინამოს" ისტორიას, ძველი და ახალი ფეხბურთელების ამბებს. ჩემი მხრივ დავინტერესდი "ფეიენოორდის" საქმეებით და ამ სიმპათიურმა კაცმა ჩემდა გასაოცრად ასე მიპასუხა - ამ კლუბს კარგად არ ვიცნობო.

თურმე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ყოფილა ჩამოსული - წინასწარ იჭერდა თადარიგს იენის "კარლ ცაისის" მოსალოდნელი მეტოქის დასაზვერად.

ცხადი იყო, "კარლ ცაისის" ხელმძღვანელობა, გდრ-ის სპორტული პრესა ანგარიშს უწევდნენ თბილისის "დინამოს", ითვალისწინებდნენ მის სიძლიერეს, ამიტომაც ამახვილებდნენ მასზე ყურადღებას.

ფაქტია - უდავო და ჭეშმარიტი: თბილისის "დინამომ" ბოლო წლებში დამსახურებულად მოიპოვა საერთაშორისო აღიარება, იგი პოპულარული ხდება ფეხბურთის სამყაროში, გუნდის საუკეთესო ფეხბურთელებს დიდი მორიდებით და პატივისცემით ახსენებენ ხოლმე, ლაპარაკობენ ქართული საფეხბურთო სკოლის თავისებურებასა და ორიგინალობაზე.

აქვთ კიდეც ამის საფუძველი. თბილისის "დინამოს" სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონია, ორგზის თასის მფლობელი. გუნდს მრავალჯერ მოუპოვებია ეროვნული ჩემპიონატების საპრიზო ადგილები, არაერთხელ გასულა თასის ფინალში, პერსონალურ მფლობელობაში აქვს ესპანეთში მოპოვებული საპატიო "კოლუმბიის კარაველა", დაუმარცხებია ინგლისის, იტალიის, საფრანგეთის, ავსტრიის, რუმინეთის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ჰოლანდიის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების საქვეყნოდ ცნობილი აღიარებული კლუბები.

ახლა ამუამინდელი თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი? ეს წარმატება განა საერთაშორისო აღიარება არაა? განა გვაქვს უფლება არ ვიამაყოთ ამით?

ოღონდაც, საამაყო ბევრი რამ გვაქვს თბილისის "დინამოს" ქომაგებს. გვაქვს და ვამაყობთ კიდეც!

მაგრამ ყველა როდი ეძებს კარგ მხარეებს დინამოელთა თამაშში. მათთვის "ძიების" ობიექტია არა მოგებები, არამედ წაგებები, დიახ, დიახ წაგებები. საკმარისია ჩვენს ფეხბურთელებს სადმე "წაუცდეთ ფეხი", წარუმატებლად ითამაშონ, საკმარისია ერთი-ორი მარცხიანი მატჩი, რომ ურწმუნოთა ბანაკი წამსვე წარმოიქოჩრება, უმალ ფეხზე შეაყენებს მოწამლული ტყვიებით დატენილ თოფებს და არის ლანძღვა-გინების გაუთავებელი ბათქა-ბუთქი, შხამიანი ისრების შხუილი, ავყიაობა, უხამსი ეპითეტების მოურიდებელი კორიანტელი.

რა უნდა, რა სწადია ამ ხალხს? ერთი შეხედვით, თითქოს, ჩვენი გუნდის გულშემატკივრები არიან, თითქოს ქომაგობენ მას და გულთან ახლოს მიაქვთ მისი ავ-კარგი, მაგრამ მეტისმეტად მოჭარბებული ემოციების გამო, ალბათ, ცუდს ერთს ასად ხედავენ, ხოლო კარგს, პირიქით, ათს – ერთად.

რა არის ეს – პესიმიზმი, თანდაყოლილი მინიმალიზმი, ურწმუნობა? ვინ იცის, ეს კია, უმგვან სამსახურს უწევენ ჩვენს გუნდს, ჩვენს ფეხბურთს.

მე ხშირად მინახავს სტადიონის ტრიბუნაზე მაყურებელი, რომელსაც არაფერი მოსწონს, უფრო სწორად არ უნდა მოსწონდეს. თუ ჩვენებმა ბურთი გაიტანეს, ეს უეჭველად მეტოქის შეცდომაა, თუ რომელიმე დინამოელმა კარგად ითამაშა, ეს იმიტომ, რომ მოწინააღმდეგ ჰყავდა აშკარად სუსტი, თუ გუნდმა გაიმარჯვა, ეს იმიტომ, რომ მოპირდაპირე მხარე არ ვარგოდა და იმან წააგო.

ასეთ კაცს ტრიბუნაზე მსხდომთა ცოტა რიდი მაინც აქვს ხოლმე, იძულებულია თავისი ურწმუნოება დამალოს, თავი ჩირგვში ჩარგოს, მაგრამ აბა ნახეთ რა ბიჭია,

როცა შინ მარტო რჩება საკუთარ თავთან და საწერ–კალამს მოიმარჯვებს ხოლმე. იქ ის შავი სატანაა, ღვთის რისხვა. ქაღალდი, მოგეხსენებათ, ბევრს იტანს, ახლანდელი ავტომატური კალმებიც თავისით დასრიალებენ ზედ, და წერს, დაურიდებლად წერს გუბერნია.

იცით, რა წერილები მოგვდის რედაქციაში? შეგრცხვებათ, რომ ასეთი კაცი დადის სტადიონზე.

ამას წინათ ასეთი "უსტარი" მოვიდა კონვერტზე წარწერით: "მოდი და ენდე ახლა "დინამოს". „დასაშლელი გუნდია". თურმე ნუ იტყვით, მისი ავტორი განრისხებულა ერევანში საკავშირო თასის მატჩში "არარატთან" წაგებით და თავისი ღვარძლი ერთიანად გადმოუნთხევია ეპისტოლარული ჟანრის შემწეობით. თვით წერილის შინაარსს ნუ იკითხავთ: შეჩვენება, ანათემა, წყველა–კრულვა, ხატზე გადაცემა, რაც გნებავთ.

რა მოხდა? როგორ თუ თბილისელებმა წააგესო! ეს როგორ გაბედესო!

ასეთებს მარტოოდენ მოგება სურთ, მხოლოდ გამარჯვება, პირველივე სხვა შემთხვევაში კი არც დანდობა იციან, არც შეწყალება.

კი მაგრამ, ვინ თქვა, რომ მსოფლიო ფეხბურთში არსებობს გუნდი, რომელიც არ აგებს არც ერთ თამაშს? გაგიგიათ ასეთი კლუბი?

მე – არა.

თვით უდიდეს სუპერკლუბებსაც კი ჰქონიათ შავი დღე, ფეხბურთში კი ხშირად ხდება ეს უცნაური კატაკლიზმები ცნობილი პრინციპით: წინანი უკან, უკანანი წინ! მახსოვს ომამდელი ფეხბურთის განთქმული უცხოური გრანდები – ლონდონის "არსენალი" და პარიზის "რესინგი". მათ ხელთ ეპყრათ მსოფლიო ფეხბურთი. ახლა ლონდონელებმა, ასე თუ ისე, კიდევ არა უჭირთ, "რესინგი" კი საერთოდ გაქრა საფეხბურთო ჰორიზონტიდან.

მადრიდის "რეალმა", როცა 1960 წელს ზედიზედ მეხუთედ მოიგო ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ესპანეთის ერთ–ერთ პროვინციულ ქალაქში წააგო მეორეხარისხოვან გუნდთან. გულშემატკივართა რისხვას მწვრთნელმა დინჯად და უბრალოდ მიუგო:

– ფეხბურთია, ყველაფერი ხდება!

შორს რად მივდივართ: მოსკოვის "სპარტაკმა" სულ ახალახან პირველ ლიგაში ამოჰყო თვი, მერე კი უკანვე დაბრუნდა უმაღლესში და წლის გაშვებით ჩემპიონი გახდა! ამ პერიოდში სპარტაკელებს შეწყალება არ უთხოვიათ, თანაც, ნამდვილი გულშემატკივრები ერთგულად ჰყავდათ გვერდში.

ან მოსკოვის "დინამოს"ქომაგებმა რა უნდა ქნან. მათი გუნდი შარშან რომ მეთოთხმეტე ადგილზე გავიდა და სასწაულით შეინარჩუნა ადგილი უმაღლეს ლიგაში? სსრ კავშირის თერთმეტგზის ჩემპიონი… მეთოთხმეტე ადგილზე.

ფეხბურთია, ყველაფერი ხდება.

ჩვენს გუნდს ასეთი რამ რომ მოსვლოდა, ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეს დაგვაყრიდნენ "ურწმუნო თომები"!

სანუკვარი ჯილდო!

"დინამო" (სსრკ, თბილისი) – "კარლ ცაისი" (გდრ, იენა) 2:1

ახლა, როცა თბილისის “დინამოს” ფეხბურთელებმა მოიპოვეს თავიანთი არსებობის მანძილზე ეს უდიდესი გამარჯვება, როცა საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში ჩაწერეს ახალი სახელოვანი ფურცელი, როცა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასს, ამ სანუკვარ პრიზს თბილისისკენ აქვს გეზი აღებული, ძნელია, ძალზე ძნელი, სიტყვებით გამოხატო ის სიხარული, ის აღმაფრენა, რასაც განიცდის თითოეული ჩვენგანი, რასაც გრძნობს ყველა, ვისთვისაც კი ძვირფასია ჩვენი სპორტი, ვინც თვალის ჩინივით უფრთხილდება ეროვნულ საგანძურს, ვისთვისაც ქართული ფეხბურთის პრესტიჟი სისხლხორცეული ამბავია.

რა თქმა უნდა, ჩვენ კვლავ და კვლავ დავუბრუნდებით 13 მაისის ფინალური მატჩის პერიპეტიებს იენის “კარლ ცაისთან”, სპორტის მოყვარულებს მივაწვდით ყველა საინტერესო ცნობას, ფოტომასალას, პრესის გამონათქვამს, სპეციალისტთა მოსაზრებებს, ახლა კი, შეგახსენებთ გუშინდელი მატჩის მსვლელობას:

მატჩის ტემპი დასაწყისში არ იყო მაღალი, იგრძნობოდა ნერვიულობა, თუმცა შუა ტაიმიდან მინდვრის შუაგული დაიპყრეს დინამოელებმა. ტაიმი დამთავრდა ფრედ – 0:0.

62–ე წუთზე ანგარიში გახსნა “კარლ ცაისის” ცენტრალურმა მცველმა ჰოპემ, რომელიც სწრაფად გავიდა წინ, მარცხნიდან მოწოდებულ ბურთზე – 1:0.

4 წუთის შემდეგ დინამოელთა კონტრშეტევისას შენგელიამ კარგად გაიყვანა გარღვევაზე გუცაევი, რომელმაც ზუსტი დარტყმით ბურთი მოათავსა მეტოქის კარის ბადეში – 1:1. 87–ე წუთზე კი დარასელიამ თავისი შესანიშნავი რეიდი მეორე გოლით დაამთავრა, რომელმაც თბილისის “დინამოს” მოუტანა სანუკვარი გამარჯვება – 2:1.

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის 1981 წლის გამარჯვებული ასეთ შემადგენლობით თამაშობდა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე (კაკილაშვილი), სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია. გუნდს ხელმძღვანელობდნენ ნ. ახალკაცი, კ. ასათიანი, ს. კუტივაძე.

ფეხბურთის ასიათასობით გულშემატკივრის იმედი, რომ საყვარელი გუნდი, თბილისის “დინამო” გაიმარჯვებდა, ასრულდა. დინამოელებმა ღირსეულად წარმოაჩინეს ჩვენი სპორტი დიუსელდორფის “რეინშტადიონზე” და მოიპოვეს ერთ–ერთი ყველაზე საპატიო პრიზი – ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი.

ეს ფაქტი მით უფრო სასიხარულო და საამაყოა, რომ გამარჯვება ჩვენმა ბიჭებმა გამოსჭედეს ღირსეულ მეტოქესთან ძნელ, მეტად დაძაბულ ბრძოლაში.

თქმა არ უნდა, ეს გამარჯვება განსაკუთრებულ ელფერსა და სილამაზეს იძენს ამ გაზაფხულის დღეებში, მაშინ, როდესაც რესპუბლიკა დიდი ზეიმისთვის – საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავისთვის ემზადება. გამარჯვებულ ქვეყანას ამშვენებს და ალაღებს სასახელო მიღწევები!

“ლელო”, 14 მაისი, 1981 წ.